№3-480

03.12.2019

ბატონ გიორგი გახარიას

საქართველოს პრემიერ-მინისტრს

ბატონო გიორგი,

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამამ აშშ-ის ლაბორატორიაში MSR Laboratories შეამოწმა თბილისის სხვადასხვა მაღაზიაში შეძენილი 29 დასახელების ბიჟუტერიის ნიმუშები. 12 ნიმუში ჯანმრთელობისათვის საშიში აღმოჩნდა. დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ საიტზე momxmarebeli.ge.

როგორც ცნობილია, საქართველოში სამომხმარებლო პროდუქციის უმრავლესობის, მათ შორის, სამკაულების უსაფრთხოების კონტროლი არ ხდება, რაც საშიშროებას უქმნის ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობას.

მოვითხოვთ საქართველოს ხელისუფლებამ ქმედითი ნაბიჯები გადადგას საქართველოს ბაზარზე განთავსებული სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

პატივისცემით,

ეკა ურუშაძე

აღმასრულებელი დირექტორი

www.momxmarebeli.ge
www.momxmarebeli.ge
საკითხს აშუქებს